2019 წლის **იანვარი-მარტის** საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგისტრირებულია სულ **58** წერილობითი განცხადება, აქედან: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პასუხი გაეცა **30** მოთხოვნას, **21** განცხადება ზემოაღნიშნული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო **7** განცხადება იმყოფებოდა განხილვის პროცესში. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულ მოთხოვნებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.